ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: გელა ჩავლეშვილი

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება
(ასეთის არსებობის შემთხვევაში): საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც
არის საკრებულოს წევრი: აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს
წევრი: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში): პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, პროპორციული სიით.
საანგარიშო პერიოდი: 01. 10.2023 – 01.10. 2024 წ.
ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე): მორიგი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 14

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება 13

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი: 30

საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება: **30**

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): –

საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): –

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა: **14**

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება **14**

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები: 1. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრა.მის დაფინანსების ზრდა; 2. მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის სუბსიდირების ზრდა.

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა საკრებულოს 1 დადგენილება, საკრებულოს – განკარგულება.

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცება“;

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: -

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: **11**

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა: **45**

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; სოციალური (სამედიცინო) პრობლემების მოგვარება.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხები წარდგენილი იქნა მერთან, რის შედეგადაც რამდენიმე მათგანი გადაწყვეტილი იქნა. მაგალითად მოწესრიგდა სოფ. ბოხვაურში ნასათიბვარის უბანში მდინარე სკუჩის კალაპოტი; სოფ. ბოხვაურში #22 ქუჩასა და #2 ქუჩის Iჩიხში მოწესრიგდა გზა ბეტონის საფარით; სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება განხორციელდა მოქალაქეებისთვის ოზურგეთის ბიუჯეტიდან. აღნიშნული განხორციელდა მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ ჩემი შუამდგომლობის შემდეგ.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: მონაწილეობა მივიღე რამდენიმე სემინარში არასამთავრობო ორგანიზაციების მიწვევით.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებულ შედეგები: მოწესრიგდა შიდა სასოფლო გზა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. პარტია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ წინასაარჩევნო პროგრამებიდან გამომდინარე, გატარდა ღონისძიებები მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის შესახებ და მოეწყო გარე განათებები.

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: შემდეგ საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტი იქნება მუნიციპალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესება. აგრეთვე მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

ანგარიშის მომზადების თარიღი: 22.10.2024 წ.
ანგარიშის წარდგენის თარიღი: 28.10.2024 წ.

ხელმოწერა: ----------